**ხელშეკრულება N43**
**სახელმწიფო შესყიდვის შესახებ**

ქ. ბათუმი მაისი 2023 წელი

სახელმწიფო შესყიდვის განხორციელების მიზნით, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონის მე–2 თავის, მე-10[1] მუხლის, მე-3 პუნქტის და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანებით დამტკიცებული ,,გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმები და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის“ მე-2 მუხლის ,,ა“ პუნქტის შესაბამისად, ჩვენ ქვემოთ ხელის მომწერნი, ერთის მხრივ შპს "აჭარის პროექტების მართვის კომპანია" (შემდგომში - შემსყიდველი), წარმოდგენილი მისი დირექტორის ბაქარ ჩიტაიას სახით და მეორეს მხრივ, შპს „მირა“ (შემდგომში _ მიმწოდებელი) წარმოდგენილი მისი დირექტორის - ზაზა ნიორაძის სახით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

**1. ხელშეკრულების საგანი**

1.1 ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს შპს "აჭარის პროექტების მართვის კომპანია"–ის მიერ 2023 წლის სახელმწიფო შესყიდვების გეგმის შესაბამისად, საკუთარი სახსრებით, როზეტების (CPV კოდი - 31300000 - იზოლირებული მავთული და კაბელი) (შემდგომში „საქონელი“) შესყიდვა წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებისა და ხელშეკრულებაზე თანდართული დანართი №1–ის შესაბამისად.

**2. ხელშეკრულების საერთო ღირებულება**

2.1 შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება ლარებში.

2.2 შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულება შეადგენს 34.00 (ოცდათოთხმეტი) ლარს დღგ-ს ჩათვლით.

2.3 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ შესყიდვასთან დაკავშირებული მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს, რომლის გადახდაზეც პასუხისმგებელია მიმწოდებელი.

**3. საქონლის ხარისხი**

3.1 მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მიწოდებული საქონლის ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულების პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მოთხოვნებს.

3.2 მიწოდებული საქონლის ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს ამ სფეროში არსებულ სტანდარტებს და ტექნიკურ ნორმებს.

**4. საქონლის მიწოდების პირობები**

4.1 საქონლის მიწოდება განხორციელდება მიმწოდებლის მისამართის მიხედვით, ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში.

**5. საქონლის მიღება-ჩაბარების წესი**

5.1. საქონელი მიღებულად ჩაითვლება მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმების შემდეგ.

5.2. შემსყიდველის მხრიდან საქონლის მიღება–ჩაბარებას ახორციელებს შპს "აჭარის პროექტების მართვის კომპანია"–ს სამეურნეო ნაწილის კოორდინატორი ლევან ლურსმანაშვილი.

**6. ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი (ვადები)**

6.1 მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით.

6.2 შემსყიდველი ვალდებულია მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან, მიმწოდებლის მიერ საქონლის მიწოდებასა და აღნიშნულის თაობაზე მხარეთა შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან, ასევე მიმწოდებლის მიერ შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაციის წარმოდგენიდან არა უგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში.

**7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი**

7.1 შემსყიდველს უფლება აქვს:

ა) შეამოწმოს მიწოდებული საქონლის ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან;

7.2 შემსყიდველი ვალდებულია:

ა) მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;

ბ) უზრუნველყოს შესყიდვის საქონლის მიღება.
7.3 მიმწოდებელს უფლება აქვს:
ა) მოსთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.
7.4 მიმწოდებელი ვალდებულია: დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

## 8. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

8.1. მიმწოდებლის მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიწოდების ვადების დარღვევის, ასევე წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის, ან არასათანადო შესრულების შემთხვევაში, მას დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ხელშეკრულების ღირებულების 0,02 %-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.
8.2. მიმწოდებელს მიერ უხარისხო საქონლის მოწოდების შემთხვევაში, მიმწოდებელს გაეგზავნება წერილობითი გაფრთხილება. 10 კალენდარული დღის განმავლობაში არსებული ხარვეზის აღმოუფხვრელობის შემთხვევაში, მას დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა წინამდებარე ხელშეკრულების მე-8 მუხლის 8.1. პუნქტის შესაბამისად.
8.3. იმ შემთხვევაში, თუ წინამდებარე ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისთვის (მათ შორის, მიწოდების ვადების დარღვევისთვის) დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 10% პროცენტს, შემსყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.
8.4. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, შემსყიდველი უფლებამოსილია, პირგასამტეხლოს თანხა გამოქვითოს მოწოდებული საქონლის ასანაზღაურებელი თანხიდან.
8.5. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

## 9. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების გაფორმების თარიღიდან 2023 წლის 31 ივლისის ჩათვლით.

## 10. ხელშეკრულებაში ცვლილებებისა და დამატებების განხორციელების წესი

10.1 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების განხორციელების შემთხვევაში, აღნიშნული ცვლილება უნდა გაფორმდეს წერილობითი ფორმოთ.
10.2 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.
10.3 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობის გაზრდა.

## 11. ფორს-მაჟორი

11.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.
11.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.
11.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც

დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

## 12. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

12.1 ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.
12.2 შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

## 13. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

13.1. შემსყიდველს უფლება აქვს ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს ტექნიკური კონტროლი.
13.2. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს შემსყიდველი კონტროლის ჩატარებისათვის აუცილებელი ტექნიკური საშუალებებით და სხვა სამუშაო პირობებით.
13.3. ყველა გამოვლენილი ხარვეზის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

## 14. სხვა პირობები

14.1 მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
14.2 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.
14.3 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.
14.4 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.
14.5 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

## 15. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

| „შემსყიდველი” | „მიმწოდებელი“ |
|---|---|
| შპს “აჭარის პროექტების მართვის კომპანია” | შპს „მირა“ |
| მის. ქ. ბათუმი, ჟიული შარტავას გამზ. N13 | მის. ქ. ბათუმი, ლერმონტოვის ქ. 57 |
| ს/კ 445409415 | სს „საქართველოს ბანკი“<br>ბანკის კოდი BAGAGE22<br>ა/ნ :GE13BG0000000723678000<br>ს/კ 202218698 |
| დირექტორი | დირექტორი |
| ბაქარ ჩიტაია | ზაზა ნიორაძე |

Bakar Chitaia 62003013964
Digitally signed by Bakar Chitaia
Date: 2023.05.04 16:43:11

Zaza Nioradze 54001003889
Digitally signed by Zaza Nioradze
Date: 2023.05.04 16:41:18

**დანართი N1**

## ფასების ცხრილი

| № | CPV კოდი და დასახელება | საქონლის დასახელება | განზომილება | რაოდენობა | ერთეულის ფასი (ლარი) | საერთო ღირებულება (ლარი) |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | CPV კოდი 31300000 - იზოლირებული მავთული და კაბელი | როზეტი 1/16A.220V.KAUÇUK 4'LÜ GRUP PRİZ(1/16A. BK1-1402-3614 | ცალი | 2 | 17.00 | 34.00 |
| | **ჯამი** | | **ლარი** | | | **34.00** |

შპს "აჭარის პროექტების მართვის კომპანია"
დირექტორი
ბაქარ ჩიტაია

შპს „მირა"
დირექტორი
ზაზა ნიორაძე